თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 4 მარტი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. ბიძინა ბუცხრიკიძე, 4. კობა კაცაძე, 5. ჯემალ ისაკაძე, 6. შალვა ჭანკვეტაძე, 7. გოჩა ვერულაშვილი, 8. მერაბი ბასილაძე, 9. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ივანე ჩუბინიძე, 2. როლანდი მესხი

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-28250621 წერილი, 03.03.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ ((თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282505971, 28.02.2025 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულების საფუძველზე, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მ/წლის 10 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა

სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - ნუსხაში მითითებული ქონების პრივატიზება განხორციელდება უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივარტიზებო საფუსარად განისაზღვრება ექსპერტიზის დასკვანაში მითითებული თანხა.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა -თავი შეიკავა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 625.00 კვ.მ . მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდი 33.09.42.1012, ნუსხაში შეტანაზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე